ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი, ბათუმის მასწავლებლის სახლი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის საქმიანობის 2025 წლის ანგარიში

Copyright © Wondershare Software

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის მიზნები

- სკოლებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა
- მოქმედი მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარება
- კვალიფიციური კადრების მომზადება და პროფესიაში შენარჩუნება

Copyright © Wondershare Software

დამფუძნებელი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო

2013 წ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის ბაზაზე გაიხსნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა / ბათუმის მასწავლებლის სახლი.

პარტნიორი - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

- ✓ ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი, ბათუმის მასწავლებლის სახლი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე ახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილ ტრენინგ-კურსებს.
- ✓ პროფესიული განვითარების ტრენინგები განკუთვნილია მოქმედი პედაგოგებისათვის, სკოლის ადმინისტრაციის წევრებისა და პერსონალისათვის.
- ✓ ტრენინგები უფასოა საჯარო და კერძო სკოლების მოქმედი მასწავლებლებისთვის.

2025 წლის აქტივობები

ტრენინგი სკოლის ადმინისტრაციისათვის

კონფერენციები

უცხოეთში სტაჟირება

ვორქშოფები

პროექტი ჩემს გაკვეთილზე

კლუბების მონიტორინგი

სკოლის საქმისმწარმოებელთა ტრენინგი

სკოლის ბიბლიოთეკართა ტრენინგი

სდსყბინგდლ ოდგნდლ

N.P.O. Ajara Education Fund
ტრენინგები
2025

ტრენინგ-კურსი საჯარო სკოლების ადმინისტრაციის წევრებისათვის

1-ლი მოდული: „სკოლის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა“; 8 სთ.

- **ტრენინგის მიზანი:** მონაწილეებმა შეძლონ სკოლის სტრატეგიული განვითარების პროცესების ეფექტიანად დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება.
- **ტრენინგის მოსალოდნელი შედეგები:** კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეები შეძლებენ: სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების განსაზღვრას; სკოლის საჭიროებების იდენტიფიცირების საფუძველზე სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირების პროცესის ფასილიტაციას; სტრატეგიულ მიზნებზე ფოკუსირებული პროექტების ინიცირებას, დანერგვასა და შესრულების ორგანიზებას

Copyright © Wondershare Software

მე-2 მოდული: „სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმი“; 8 სთ.

ტრენინგის მიზანი: მონაწილეებმა შეძლონ სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი კურიკულუმების შექმნის, განხორციელების, მონიტორინგის/შეფასებისა და რევიზიის პროცესის ფასილიტაცია.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეები შეძლებენ:

✓სასკოლო სასწავლო გეგმის კომპონენტებისა და სტრუქტურის განსაზღვრას;

✓სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი პრინციპების გააზრებას სწავლება-სწავლის ხარისხთან მიმართებით;

✓კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების / დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მნიშვნელობის გააზრებას;

✓საგნობრივი კურიკულუმის კომპონენტების განსაზღვრას;

✓სწავლის უნივერსალური დიზაინის არსისა და მნიშვნელობის გააზრებას;

✓სკოლის დირექტორის როლის განსაზღვრას საგნობრივი კურიკულუმების შექმნის პროცესში;

✓კურიკულუმის დიზაინის ვარიანტების განხილვას;

✓კურიკულუმის განვითარების აუცილებლობის გააზრებას და მის მეთოდოლოგიაზე მსჯელობას.


მუშაობა ჯგუფებში

მე-3 მოდული: „ხარისხის მართვის მექანიზმები სკოლაში“; 12 სთ.

ტრენინგის მიზნები: მონაწილეები გაეცნობიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების განხორციელების პროცესს და გაიაზრებენ ამ პროცესის მნიშვნელობას ხარისხის მართვის ციკლში

ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეები შეძლებენ:

- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებისთვის საჭირო ეფექტიანი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას სკოლაში.
- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებისთვის საჭირო ცოდნის მიღებასა და უნარების განვითარებას;
- ✓ ხარისხის განვითარების ციკლის დანერგვით სასკოლო პროცესის უწყვეტ განვითარებასა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას;
- ✓ ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად სკოლის საჭიროებაზე მორგებული აქტივობების დაგეგმვა/განხორციელებასა და მიღებული შედეგის შეფასებას.



სკოლის საქმისმწარმოებელთა ტრეინინგ-კურსი

1-ლი მოდული: „სკოლის საქმისწარმოება, კორესპონდენცია, ხელშეკრულებები, დაარქივება“. (8 სთ.)

- **ტრენინგ-კურსის მიზანი:** ხელი შევუწყოთ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პერსონალის პროფესიულ განვითარებას.
- **1-ლი მოდულის თემატიკა:** სკოლაში წარმოებულ კორესპონდენციის სახეები; კორესპონდენციის წარმოების წესი; შრომითი ხელშეკრულებების რეკვიზიტები; მისი გაფორმებისა და შეწყვეტის წესი; სკოლაში არსებული კორესპონდენციის დაარქივების წესი.

Copyright © Wondershare Software

მე-2 მოდული: „მოსწავლის რეგისტრაცია და პირადი საქმისწარმოება“; 4 სთ.

- **მე-2 მოდულის თემატიკა:**
- მოსწავლის სკოლაში პირველადი რეგისტრაციის წესი;
- რეგისტრაციის შემდგომი დოკუმენტაციის წარდგენის ვადები;
- ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესი;
- მოსწავლის მობილობის დროს განსახორციელებელ პროცედურები;
- მოსწავლის პირადი საქმისწარმოების დეტალები.

Copyright © Wondershare Software

მე-3 მოდული: „ ელექტრონული კომუნიკაცია (eflow) და საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი“; (4 სთ.)

<u>მე-3 მოდულის თემატიკა:</u>

- **საჯარო ინფორმაციის არსი;** საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წესი; საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები; საჯარო ინფორმაციის გაცემის სახეები; უარის წესი საჯარო ინფორმაციაზე; საჯარო ინფორმაციის გაცემაზე სკოლაში პასუხისმგებელი პირის გამოყოფის წესი;
- **ელექტრონული (eflow) დოკუმენტბრუნვა**, ელექტრონული ხელმოწერის მფლობელი, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის შედგენა და სავალდებულო რეკვიზიტების ელექტრონული დოკუმენტის შექმნა, ვიზირება, გაგზავნა, მიღება, დამუშავება და შენახვა.





სკოლის ბიბლიოთეკართა ტრენინგ-კურსი



1-ლი მოდული: „ბიბლიოთეკარის ეფექტური მუშაობის მეთოდიკა მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან“ - 8 სთ.

ტრენინგის მიზანია:

- სკოლის ბიბლიოთეკარის მომზადება სასკოლო საზოგადოებასთან ეფექტური მუშაობის წარმართვისათვის.

მოდულის მისაღწევი შედეგებია:

- მონაწილეებმა გაიაზრონ რა ძირითადი განსხვავებაა თანამედროვე და ტრადიციულ ბიბლიოთეკას შორის;
- იმსჯელონ თანამედროვე ბიბლიოთეკარის ფუნქციებსა და სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის მნიშვნელობაზე; განიხილონ სასკოლო საზოგადოებასთან ეფექტიანი მუშაობის მეთოდიკა;
- შეძლონ ინფორმაციის სანდოობის შეფასება და პრაქტიკულად გამოყენება..

მე-2 მოდული: „საბიბლიოთეკო ღონისძიებების მოწყობა“ - 4 სთ.

ტრენინგის მიზანია:

- სკოლის ბიბლიოთეკარის მომზადება სასკოლო საზოგადოებასთან ეფექტური მუშაობის წარმართვისათვის. მოდულის მისაღწევი შედეგებია: მონაწილეებმა დაგეგმონ საბიბლიოთეკო ღონისძიებები.

მოდულის თემატიკა:

- შემოქმედებითი კლუბები, ვებ-პროექტები, სადისკუსიო კლუბები;
- სამუშაო გეგმა (მიზანი, მისაღწევი შედეგი, საქმიანობები, რესურსები, შემოწმების წყაროები), მათი დანიშნულება და დოკუმენტირება;
- მსმენელები შექმნიან ღონისძიებათა გეგმის მონახაზებს და იმსჯელებენ მათ მნიშვნელობაზე.

„პროექტი ჩემს გაკვეთილზე“ - მონიტორინგი

აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის განათლებისა და
სპორტის სამინისტროს
ქვეპროგრამა

მონიტორინგი – “პროექტი ჩემს გაკვეთილზე”

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამის: ფარგლებში განხორციელდა პროექტში გამარჯვებული **100** მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვება-მონიტორინგი.

- ✓აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს პროექტის მიზანია მასწავლებლების მხარდაჭერა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევისთვის საგანმანათლებლო აქტივობების გამრავალფეროვნება.
- ✓პროექტები მოიცავდა: ახალი მეთოდოლოგიების დანერგვას, ტექნოლოგიების გამოყენებას, საკლასო ოთახის რესურსების გამდიდრებას, ან სხვა აქტივობებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გაძლიერებას.
- ✓პროექტ-გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდნენ ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის მონიტორინგის სპეციალისტები.
- ✓მონიტორინგის სპეციალისტები აკვირდებოდნენ გაკვეთილების მსვლელობას, ასევე ესაუბრებოდნენ პროექტში გამარჯვებულ მასწავლებლებსა და ხვდებოდნენ პროექტში ჩართული მოსწავლეების ფოკუს-ჯგუფს.
- ✓**2025** წლის მარტსა და ივნისში განხორციელდა პროექტში მონაწილე **100** მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვება-მონიტორინგი.



წინარე ცოდნის გააქტიურება

AUTUMN

are

უცხოეთში სტაჟირება

2025 წელი

შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში განხორციელდა აჭარის საჯარო სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა სასწავლო ვიზიტი ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN)

6-11 აპრილი, 2025 წ.

ფიზიკის 4 პედაგოგი

- ბათუმი, N8 სკოლა
- ორთაბათუმი, ხელვაჩაური
- ქობულეთი, N3 სკოლა
- ჩანჩხალო, შუახევი

Copyright © Wondershare Software


g for new particles requires selection and
s of enormous quantity of data from LHC
detectors
(+30 minimum bias events)
produce 10-15 million Gigabytes of data
20 million CDs!)
requires a computing power equivalent
ay's fastest PC processors.

EPSON
EPSON

Wsparcie nauczycieli i środowiska edukacyjnego

პოლონეთში, ქვემო სილეზიაში განხორციელდა აჭარის საჯარო სკოლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელთა სასწავლო ვიზიტი ქ. ვროცლავის მასწავლებელთა მომზადების ცენტრში.

12-19 ოქტომბერი, 2025 წ.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბლოკის 10 პედაგოგი

- ისტორია -3 პედაგოგი
- გეოგრაფია - 3 პედაგოგი
- მოქალაქეობა - 4 პედაგოგი

Copyright © Wondershare Software

ŁASNĄ DOBYĆ PRACĄ"
A. Mickiewicz
snem jeszcze nie przebudzonym,
w którym dziwadła i kształty,
jak wiatrem na brzeg przygnane...
Tadeusz Borowski

კონფერენცია

2025 წელი

აჭარის მასწავლებელთა კონფერენციები - 2025 წ.



მუნიციპალური კონფერენციები

ქობულეთის მასწავლებელთა მე-X მუნიც იპალური კონფერენცია

7 ივნისი, 2025 წ.

მეათე კონფერენციაზე 8 საგნობრივი ჯგუფის 40 მოხსენება იქნა წარდგენილი პრეზენტაციების სახით. დასასრულს, ყველა მონაწილეს სერტიფიკატი გადაეცა

ხელვაჩაურის მასწავლებელთა მე-X მუნიცი პალური კონფერენცია

14 ივნისი, 2025 წ.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 160-ზე მეტმა პედაგოგმა, მათ შორის იყო 67 მომხსენებელი. კონფერენციაში მონაწილე მასწავლებლებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

შუახევის მასწავლებელთა VII მუნი ციპალური კონფერენცია

31 მაისი, 2025 წ.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 150-მა პედაგოგმა. მათ შორის იყო 64 მომხსენებელი. კონფერენციის ყველა მონაწილეს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცა.

მუნიციპალური კონფერენციები

ბათუმის მასწავლებელთა მე-II მუნიციპა ლური კონფერენცია

18 ივნისი, 2025 წ.

მეათე კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება, ინოვაციური მეთოდების დანერგვა სასწავლო პრაქტიკაში და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება. კონფერენციას 230 პედაგოგი დაესწრო და წარმოდგენილი იყო 74 მოხსენება.

ხულოს მასწავლებელთა V მუნიციპალური კონფერენცია

20 ივნისი, 2025 წ.

კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღო ხულოს რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე სკოლის 36-მა პედაგოგმა, რომლებმაც სხვადასხვა საგნობრივ სექციებში გააზიარეს საკუთარ გამოცდილება და პრაქტიკა. ყველა მონაწილეს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატები.

ქედის მასწავლებელთა VIII მუნიცი პალური კონფერენცია

30 ივნისი, 2025 წ.

კონფერენციაში მონაწილეობდა 34 მომხსენებელი, მასწავლებელთა სახლიდან მოწვეული მოდერატორები და ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორები და მასწავლებლები. ღონისძიების ბოლოს მომხსენებლებს სერტიფიკატები, ხოლო მოწვეული სტუმრებს მადლობის სიგელები გადაეცათ.

აჭარის პედაგოგთა IX კონფერენციის გახსნა

სექციური მუშაობა IX კონფერენციაზე

IX კონფერენციის შეჯამება

ვორქშოფერი
2025

მოქალაქეობის ვორქშოფები პოლონელი პედაგოგებისათვის

2025 წლის 23 აპრილს ბათუმის მასწავლებლის სახლში ჩატარდა 2 ვორქშოფი სამოქალაქო განათლების მიმართულებით

- ვორქშოფი - „პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება მოქალაქეობის გაკვეთილზე“, ჩაატარა ბათუმის მასწავლებლის სახლის ტრენერმა - ინგა მოსიძემ.
- ვორქშოფის მიზნები იყო: პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელობის გაცნობიერება,
- მედიაწიგნიერების სწავლება ქეისებითა და დილემებით, ქეისისა და დილემის გაანალიზება, ქეისებითა და დილემებით სწავლების მნიშვნელობის გააზრება.

- ვორქშოპი - სამოდელო გაკვეთილი თემაზე: „ოჯახური ძალადობა“, ჩაატარა ბათუმის მასწავლებლის სახლის ტრენერმა - ნინო ტავლალაშვილმა.
- ვორქშოფის მიზნები იყო: მოქალაქეობის საგანში დამხმარე სახელმძღვანელოების განხილვა, გაკვეთილის დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად,
- აუდიტორიის წევრთა მიერ საკუთარი გამოცდილების გაზიარება კოლეგებისთვის, სამოდელო გაკვეთილის ჩატარება, განხილვა, შეფასება.



ვორქშოფი გეოგრაფიის სწავლებაში პოლონელი პედაგოგებისათვის

2025 წლის 24 აპრილს, მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, ბათუმის მასწავლებლის სახლში ჩატარდა ვორქშოფი გეოგრაფიის სწავლებაში

- **სამუშაო შეხვედრა/ვორქშოფი - "მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება გეოგრაფიის სწავლებისას" ჩაატარა ბათუმის მასწავლებლის სახლის ტრენერმა - ლუიზა რევიშვილმა.**

ვორქშოფის მიზნები იყო:

- გეოგრაფიის გაკვეთილზე გამოყენებული სხვადასხვა გეოგრაფიული რესურსის მნიშვნელობის გაცნობა/გაზიარება კოლეგებისათვის.
- სხვადასხვა სახის გეოგრაფიული რუკების/ დიაგრამების გამოყენება გეოგრაფიის სწავლებისას;
- ფოტოების, კომიქსების, კარიკატურის დანიშნულებისა და მნიშვნელობის წარმოჩენა გეოგრაფიის გაკვეთილზე;
- ინფოგრაფიკების, პოსტერების და სხვა რესურსების, როგორც გეოგრაფიული წყაროების მნიშვნელოვანი ელემენტების წარდგენა გეოგრაფიის სწავლებისას;
- აუდიტორიის წევრთა მიერ საკუთარი გამოცდილების გაზიარება კოლეგებისათვის.

Luiza

ისტორიის ვორქშოფები პოლონელი პედაგოგებისათვის

2025 წლის 26 აპრილს ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდში (ბათუმის მასწავლებლის სახლი) მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა 2 ვორქშოფი ისტორიის მიმართულებით.

- **ვორქშოპი – „ინოვაციური მეთოდების გამოყენება საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დროს“ ჩაატარა ბათუმის მასწავლებლის სახლის ტრენერმა – კახაბერ ჩაკვეტაძემ.**
- **ვორქშოფის მიზანი**: ვორქშოფის მონაწილეები გაეცნონ სწავლების ინოვაციურ მეთოდებს, რომელიც შეიძლება გამოიყენონ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დროს საბაზო და საშუალო საფეხურზე.

ვორქშოპის შემდეგ მსმენელები:

- შეძლებენ პრაქტიკაში გამოიყენონ სწავლების ინოვაციური მეთოდები
- აღნიშნული მეთოდების გამოყენების შედეგად გაიზრდება მოსწავლეთა კოგნიტური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში

- **ვორქშოპი – „პროექტული სწავლების და კოგნიტური სქემების დანერგვის უპირატესობები““ჩაატარა ბათუმის მასწავლებლის სახლის ტრენერმა – ნიკა იმედაიშვილმა.**
- **ვორქშოფის მიზნები:** საკუთარი პროფესიული საქმიანობის გაცნობა და გამოცდილების გაზიარება კოლეგებისთვის; კონკურსის „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“ წარდგენა; პროექტული სწავლების უპირატესობების შესახებ გამოცდილების გაზიარება; კოგნიტური სქემების გაცნობა და ანალიზი.
- **ვორქშოფის შედეგები** – ვორქშოფის შემდეგ მასწავლებლები:
- შექმნიან ანალოგიურ სქემებს კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე
- დანერგავენ ვორქშოფზე მიღებულ გამოცდილებას საკუთარ პრაქტიკაში
- გააანალიზებენ პროექტული სწავლების დანერგვის უპირატესობებს

სხვა აქტივობები 2025

საჯარო ლექცია

- **2025 წლის 14-15 აპრილს ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდში (ბათუმის მასწავლებლის სახლი) ჩატარდა სამართლის დოქტორის, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს ექსპერტის ციფრულ განათლების და ხელოვნური ინტელექტის საკითხებში, პროფესორ ზვიად გაბისონიას ლექცია „ხელოვნური ინტელექტი და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა განათლების სისტემაში“ ბათუმის სკოლების პედაგოგებისათვის.**
- **ლექციაზე განხილული იყო საკითხები:** სამეცნიერო რევოლუცია და ინდუსტრიული რევოლუციების დაწყება; მსოფლიოს ინდუსტრიული რევოლუციები; ადამიანის ბუნებრივი ნეირონული ქსელი, ხელოვნური ნეირონული ქსელი; ხელოვნური ინტელექტის სახეები: ვიწრო ხელოვნური ინტელექტი - Artificial Narrow Intelligence (ANI), ზოგადი ხელოვნური ინტელექტი - Artificial General Intelligence (AGI), სუპერ ხელოვნური ინტელექტი - Artificial Super Intelligence (ASI); სამართლებრივი გამოწვევები; ელექტრონული დოკუმენტების და ხელმოწერების მარეგულირებელი კანონმდებლობა; ხელოვნური ინტელექტი - მომავლის სამართლის სუბიექტი; ციფრული ტექნოლოგიები განათლებაში“: Chat GPT (3, 4, 4o), Deep Seek გამოყენება სწავლის და კვლევის პროცესში ციფრული ასისტენტები, ანტიპლაგიატის პროგრამები (Turnitin); ხელოვნური ინტელექტი განათლების და მეცნიერების სფეროში.

ხელოვნური ინტელექტი
და ციფრული ტექნოლოგიების
დანერგვა განათლების სისტემაში

სამუშაო შეხვედრა

- **2025 წლის 8 მაისს, აჭარის განათლების ფონდში, ბათუმის მასწავლებლის სახლში ჩატარდა შეხვედრა საბუნებისმეტყველო საგანთა სამეცნიერო ლაბორატორიის შექმნასთან დაკავშირებით.**

შეხვედრაზე გადაწყდა:

- ბათუმის მასწავლებლის სახლის ბაზაზე თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით შეიქმნას საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც პედაგოგები და მათი მოსწავლეები შეძლებენ:
- ადგილზე ჩაატარონ სასკოლო ექსპერიმენტები,
- ზოგად ფიზიკაში თანამედროვე ტექნოლოგიებით ექსპერიმენტების ჩატარებას, თეორიული ცოდნის სისტემატიზაციას და პრაქტიკაში გამოყენებას;
- სასწავლო პროცესში სხვადასხვა რესურსების ეფექტიანად გამოყენებას;
- ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების უკეთ გააზრებას და სწავლებაში გამოყენებას, პრინციპების უკეთ გააზრებას და სწავლებაში გამოყენებას.

ვახტანგ წულუკიძის 100 წლის იუბილე

- **2025 წლის 13 დეკემბერს ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის სააქტო დარბაზში აღინიშნა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწის ვახტანგ წულუკიძის, დაბადებიდან 100 წლის იუბილე.**
- საიუბილეო შეხვედრას წარუძღვა აჭარის განათლების ფონდის დირექტორი - სულიკო თებიძე. ვახტანგ წულუკიძის შესახებ ისაუბრა ასოციაცია „მწიგნობარის“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა - მანანა წულუკიძემ. დამსწრე საზოგადოებას ასევე მიესალმნენ: ომარ ტაკიძე, დავით თედორაძე, ვახტანგ ღლონტი, სერგო დუმბაძე და ოჯახის წევრები.
- ვახტანგ წულუკიძე აჭარის ერთ-ერთი თვალსაჩინო განმანათლებელი გახლდათ. ის 25 წელი სათავეში ედგა რეგიონის განათლების სისტემას. ვახტანგ წულუკიძის დროინდელი სამინისტრო, ეს იყო მაღალორგანიზებული, გამოცდილი კადრებით დაკომპლექტებული კოლექტივი, იგი დიდ ყურადღებას აქცევდა სამინისტროში დასაქმებულ სპეციალისტთა პროფესიონალიზმს.
- აჭარის განათლების ფონდს ეწვივნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური პირები და საზოგადოება საგანმანათლებლო წრეებიდან. შეხვედრას ასევე დაესწრნენ აჭარის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის წარმომადგენლები.

კონკურსი – ფიზიკის მასწავლებელთა ცერნში სტაჟირება 2026

- **2025 წლის 16 დეკემბერს აჭარის განათლების ფონდში (ბათუმის მასწავლებლის სახლში) ინდივიდუალური განრიგის შესაბამისად ჩატარდა ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN - Organisation Européenne pour la Recherche Nucléaire) ერთკვირიან სტაჟირების შესარჩევი კონკურსის მე-2 ეტაპი - გასაუბრება.**
- გასაუბრებაში მონაწილეობა მიიღო ოთხმა კანდიდატმა, რომლებმაც წარმატებით გადალახეს შესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპი. კანდიდატები ფასდებოდნენ მათთვის ცნობილი კრიტერიუმებით, რომელიც წინასწარ იყო გამოქვეყნებული ორგანიზაციის საიტზე.
- **კონკურსანტებთან გასაუბრების შემდეგ გამოვლინდა ოთხი გამარჯვებული:**
  - ***თამაზ ბერიძე (სსიპ ბათუმის №6 საჯარო სკოლა)***
  - ***თამარ ერქომაიშვილი (სსიპ ბათუმის №8 საჯარო სკოლა)***
  - ***ზაურ გამიშიძე (სსიპ ბათუმის №6 საჯარო სკოლა)***
  - ***რუსუდან საკანდელიძე (სსიპ ბათუმის №25 საჯარო სკოლა)***
- **ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN - Organisation Européenne pour la Recherche Nucléaire) ფიზიკის მასწავლებელთა ერთკვირიანი სტაჟირება განხორციელდება 2026 წლის 1 – 6 მარტს.**

Copyright © Wondershare Software

2025 წლის აქტივობების სტატისტიკა

2025 წელს ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის / ბათუმის მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა 750-მდე მსმენელმა მიიღო

Copyright © Wondershare Software

მადლობა თანამშრომლობისათვის!

Copyright © Wondershare Software

გილოცავთ ახალი 2026 წელს!